ფინანსთა
მინისტრი

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

25 აპრილი 2024

N 08-03/33757

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენი 2024 წლის 11 აპრილის N2989/3-17/24 წერილის პასუხად, სსიპ - შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, გაცნობებთ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად, სსიპ - შემოსავლების სამსახურმა ცვლილების ამოქმედებიდან (25.12.2014 წელი) 2024 წლის 21 აპრილამდე, განახორციელა ჯამში 3,920,306,225.14 ლარის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა. საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის საფუძველია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი, რომლის მიხედვით, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა განხორციელდა სამ ეტაპად, კერძოდ:

I ეტაპი - 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ითვალისწინებდა 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი დავალიანების ჩამოწერას, თუ პირს არ უფიქსირდებოდა აქტივობა. ამ რედაქციით (02.06.2016 წლამდე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით) ჩამოწერილი დავალიანების თანხამ შეადგინა ჯამში 1,104,279,889.73 ლარი;

II ეტაპი - 2016 წლის 13 მაისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 2 ივნისს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ითვალისწინებდა 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი დავალიანების ჩამოწერას, თუ პირს არ უფიქსირდებოდა აქტივობა. ამ რედაქციით (02.08.2018 წლამდე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით) ჩამოწერილი დავალიანების თანხამ შეადგინა ჯამში 1,692,744,567.90 ლარი;

III ეტაპი - 2018 წლის 21 ივლისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ითვალისწინებს 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი დავალიანების ჩამოწერას (2020 წლის 14 ივლისს ამ ნორმამ განიცადა ცვლილება და ჩამოწერას დაექვემდებარა, ასევე შემდგომ აღიარებული თანხები), თუ პირს არ უფიქსირდებოდა აქტივობა. ამ რედაქციით დღემდე (21.04.2024 წლამდე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“, „ა[1]“ და „გ“ ქვეპუნქტებით) ჩამოწერილი დავალიანების თანხამ შეადგინა ჯამში 1,123,281,767.51 ლარი.

დავალიანების ჩამოწერა ხორციელდება გადასახადის გადამხდელის მიმართვის საფუძველზე და ასევე, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით.

რაც შეეხება კითხვას, გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის შესახებ, ვინც საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემდეგ განაახლა საქმიანობა, მიმდინარეობს მუშაობა კრიტერიუმების დასაზუსტებლად, რომელთა მიხედვითაც, სსიპ - შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, დამატებით დამუშავდება აღნიშნული ინფორმაცია.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი

https://edoc.mof.ge/public/#/33757-08-03-2-202404251704

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE